ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1201596

ნომერი: AR1208379

თარიღი : 30.03.2014

გაცემის თარიღი : 02.04.2014

გაცნობის თარიღი : 03.04.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სადგური ლილო , N 51 / ქალაქი თბილისი , სადგური ლილოს მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ადელ ყაჰრემანი გარგარი პ/ნ 01092000276
- თბილისი შუამთის ქ. N 1 ბ. 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ვერ ირკვევა აღნიშნული მდებარეობს თუ არა შპს. „ნაქა"–ს საკადასტრო საზღვრებში. საჭიროა აიტვირთოს ტერიტორიის საკადასტრო გეგმა, საპროექტო სარეკლამო ფირნიშის განთავსების ადგილის მონიშვნით. იმ შემთხვევაში თუ ფირნიშის განთავსება ხდება საკადასტრო საზღვრებს გარეთ, მოგახსენებთ, რომ 2009 წლის 6 თებერვლის #2–4 გადაწყვეტილების თანახმად გამოცხადებული აუქციონის საფუძველზე ქ. თბილისში არსებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვას მარჯვენა სანაპიროზე გასცემს შ.პ.ს "აუთდორ ჯი", ხოლო მარცხენა სანაპიროზე შ.პ.ს "სმოდ ედვერთაიზინგი", გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან საჭიროა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართოთ შესაბამის ორგანიზაციას (მისამართი ყიფშიძის ქ. #2).

ადგილმდებარეობის დაზუსტების შემდომ ასევე გაითვალისწინოთ:

".არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს და "ფოტომონტაჟი"-ს ველში აიტვირთოს როგორც შორი ასევე ახლო მანძილიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა და მის საფუძველზე დამუშავებული კარგი ხარისხის (გარჩევადი) ფოტომონტაჟი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.